

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს 2016-19 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა

I.პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა

1.პროგრამის დასახელება და განხორციელების სავარაუდო ვადები სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა 2016-2019წწ.

პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში ქვეყნის ერთიანი პოლიტიკის შემუშავების, დაგეგმვისა და მისი რეალიზების კოორდინაციის აუცილებლობა, განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნა და ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა. საქართველოს სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტით, ევროპასთან ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ევროპის საბჭოს რეკომენდაციებით გათვალისწინებული ძირითადი მიმართულებების შესრულების მიზნით აუცილებელია ერთიანი სპორტის სახელმწიფო მართვის სისტემის ჩამოყალიბება, რათა მოხდეს სპორტის ყველა სფეროს მდგრადი განვითარება.

პროგრამის აღწერა სპორტის სახეობათა ტრადიციების შენარჩუნების, დაცვისა და განვითარების, კვლევისა და ანალიზის შედეგად სპორტის პრიორიტეტული და სტრატეგიული განვითარების მიმართულებების განსაზღვრა; სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროებში კანონშემოქმედებითი საქმიანობა, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება, სამეცნიერო, სამედიცინო და გამოყენებითი კვლევების ხელშეწყობა, სამეცნიერო შეკრებების, სიმპოზიუმების, კონფერენციების მოწყობისა და სხვა შეხვედრების კოორდინაცია და ხელშეწყობა;

სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების მოკლე და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება და განხორციელება, რისთვისაც პირველ რიგში მოხდება არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის დეტალური მონაცემების აღწერა და ერთიან (Online) ბაზაში ატვირთვა;

პროგრამის ფარგლებში, ასევე მოხდება სპორტული ინფრასტრუქტურის ეროვნული სტანდარტის დადგენა და განისაზღვრება საქართველოს ტერიტორიაზე არსებული და მომავალში ასაშენებელი სპორტული ობიექტების ექსპლუატაციის მინიმალური (ქვეყანაში არსებული რეალობის გათვალისწინებით) სტანდარტი;

სპორტსმენტა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა, სპორტის სფეროში კვალიფიკაციის ამაღლების კოორდინაცია, ერთიანი სპორტული კლასიფიკაციის შემუშავება და დამტკიცება, სპორტის სახეობათა, პროფესიული და მოყვარულთა სპორტული კლუბებისა და ორგანიზაციების სტატუსის განსაზღვრა;

არასამთავრობო სპორტული ორგანიზაციების (ფედერაცია, ასოციაცია, კავშირი, კომიტეტი და სხვა) აღიარებისა და დაფინანსების თანამედროვე, ევროპული მოდელის დანერგვა/დახვეწა. აღნიშნული მოდელი ითვალისწინებს ობიექტური კრიტერიუმებისა და სტანდარტების საშუალებით შესაბამისი სპორტული ორგანიზაციის აღიარებისა და მისი დაფინანსების საკითხს. ახლებური სისტემის ძირითადი მიზანია სპორტულ ორგანიზაციებთან ეფექტიანი თანამშრომლობა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა;

დოპინგის, სპორტულ მატჩებზე მყურებელთა მხრიდან ძალადობისა და გარიგებული თამაშების წინააღმდეგ ბრძოლა. სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში საინვესტიციო და საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობა;

სპორტული სტატისტიკის (სპორტული კლუბები/სექციები, მწვრთნელები-კვალიფიკაცია, მსაჯები-ლიცენზია/კლასი, სპორტული შედეგები, სპორტის სხვადასხვა საეხეობაში საქართველოს ნაკრები გუნდების შემადგენლობა, სპორტის სხვადასხვა საეხეობაში ჩართულ სპორტსმენტა

რაოდენობა ადგილმდებარეობის, სქესისა და ასაკის მიხედვით, სპორტული ორგანიზაციები და სხვა.) შეგროვება და ადმინისტრირება. სტატისტიკის განახლებული მონაცემები ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო;

სპორტულ ასოციაციებთან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებსა და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა; სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში საინვესტიციო და საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობა;

ახალგაზრდა მეცნიერთა, სპორტსმენთა და შემოქმედთათვის სახელმწიფო მხარდაჭერა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროში სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და შესაბამის უწყებებთან ერთად მათი განხორციელება; სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების განვითარებისათვის საჭირო კაპიტალური მშენებლობის, სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოების წარმოება.

მოსალოდნელი შედეგები

სპორტის და ახალგაზრდობის სფეროში გატარებული ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა; სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში მართვის თანამედროვე, ევროპულ მოდელზე გადასვლა; სპორტის ხელმისაწვდომობის ზრდა; ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მაღალი მიღწევების სპორტში მიღწეული შედეგების ეტაპობრივი ზრდა.

შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორები

მოსახლეობის ფართო ფენებში დამკვიდრებული ცხოვრების ჯანსაღი წესი; სპორტის მასობრიობა; პროფესიულ სპორტში მიღებული მაღალი შედეგები; სპორტში და ფიზიკურ აქტივობებში ჩართული მოსახლეობის გაზრდილი მაჩვენებელი; სპორტული ორგანიზაციების მუშაობის ეფექტიანობის ზრდა; დოპინგის მოხმარების შემცირება; მსაჯულთა მხრიდან სპორტულ მატჩებზე გამოვლენილი ძალადობის შემცირება; გარიგებული მატჩების შესახებ დაფიქსირებული სტატისტიკის დაბალი მაჩვენებელი; გაზრდილი სპორტის სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობა; შემოქმედებითი აზროვნებისა და სამოქალაქო აქტივობისათვის მოტივირებული ახალგაზრდობა;

II. პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა: სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები

პროგრამების დასახელება არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

ქვეყნის ნაკრები გუნდების მზადების და მონაწილეობის უზრუნველყოფა საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები, პირველობები, მსოფლიო და ოლიმპიური თამაშები, საერთაშორისო ტურნირები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები); მწვრთნელთა და მსაჯულთა კვალიფიკაციის ამაღლება, სპორტული მედიცინის და ანტიდოპინგური სააგენტოს სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა; ეროვნული ჩემპიონატების, პირველობების ჩატარება, სპორტული რეზერვისა და მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადება;

1. პროგრამის დასახელება და განხორციელების სავარაუდო ვადები ფეხბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა 2016-2019წწ;

პროგრამის აღწერა

ქართული ფეხბურთის განვითარებისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, საფეხბურთო ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი რეაბილიტაცია. ეროვნული, სხვადასხვა ასაკობრივი, ქალთა და ფუტსალის ნაკრებებისათვის ყველა საჭირო პირობის შექმნა;

მოსალოდნელი შედეგები

მაღალ დონეზე ჩატარებული ეროვნული პირველობა და პროცესში ჩართული მაღალკვალიფიციური სუბიექტები; მოწესრიგებული საფეხბურთო ინფრასტრუქტურა; ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მიერ საერთაშორისო ტურნირებზე გამუჯობესებული პოზიციები;

შედეგების შეფასების კრიტერიუმები ეროვნულ პირველობაში მონაწილე გუნდების პროფესიონალური შეფასება; გულშემატკივართა რაოდენობის მატება, ქართულ სტადიონებზე საერთაშორისო დონის და სტანდარტების შესაბამისი შეხვედრების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება, შედარება საბაზისო მაჩვენებლებთან; საერთაშორისო ასპარეზობებზე დაკავებული პოზიციების შედარება/შეფარდება გასულ/საბაზისო პერიოდში მოპოვებულ შედეგებთან;

2. პროგრამის დასახელება და განხორციელების სავარაუდო ვადები რაგბის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა 2016-2019 წწ.

პროგრამის აღწერა ქართული რაგბის შემდგომი განვითარება და საერთაშორისო ასპარეზზე ღირსეულად წარმოჩენა;

მოსალოდნელი შედეგები მოწესრიგებული სარაგბო ინფრასტრუქტურა: ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მიერ საერთაშორისო ტურნირებზე გაუმჯობესებული პოზიციები; მაღალ დონეზე ჩატარებული ეროვნული პირველობები და პროცესში ჩართული მაღალკვალიფიციური სუბიექტები

შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორები

ეროვნულ პირველობაში მონაწილე გუნდების პროფესიონალური შეფასება; გულშემატკივართა რაოდენობის მაჩვენებელი, ქართულ სტადიონებზე საერთაშორისო დონის და სტანდარტების შესაბამისი შეხვედრების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება, შედარება საბაზისო მაჩვენებლებთან; საერთაშორისო ასპარეზობებზე დაკავებული პოზიციების შედარება/შეფარდება გასულ/საბაზისო პერიოდში მოპოვებულ შედეგებთან;

3. პროგრამის დასახელება და განხორციელების სავარაუდო ვადები

კალათბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა 2016-2019წწ.

პროგრამის აღწერა ქართული კალათბურთის განვითარებისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, საკალათბურთო ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი რეაბილიტაცია, ეროვნული ნაკრები და სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრები გუნდებისათვის ყველა საჭირო პირობების შექმნა, შემდგომი წინსვლისათვის ხელის შეწყობა და ყოველმხრივი დახმარება;

მოსალოდნელი შედეგები ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მიერ საერთაშორისო ტურნირებზე გაუმჯობესებული პოზიციები; მოწესრიგებული საკალათბურთო ინფრასტრუქტურა;

შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორები

ეროვნულ პირველობაში მონაწილე გუნდების პროფესიონალური შეფასება; გულშემატკივართა რაოდენობრივი მაჩვენებლის ცვლილება, ადგილობრივ საკალათბურთო დარბაზებში საერთაშორისო დონის და სტანდარტების შესაბამისი შეხვედრების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება, შედარება საბაზისო მაჩვენებლებთან; საერთაშორისო ასპარეზობებზე დაკავებული პოზიციების შედარება/შეფარდება გასულ/საბაზისო პერიოდში მოპოვებულ შედეგებთან;

4. პროგრამის დასახელება და განხორციელების სავარაუდო ვადები

სპორტულ სახეობათა განვითარების პროგრამა 2016-2019წწ.

პროგრამის აღწერა საქართველოში სპორტის შემდგომი განვითარება, ქვეყნის ნაკრები გუნდების მზადება და მონაწილეობა საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები, პირველობები, მსოფლიო და ოლიმპიური თამაშები, საერთაშორისო ტურნირები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები), საქართველოს ჩემპიონატების, პირველობების ჩატარება, სპორტული რეზერვის და მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადება, სპორტის შემდგომი პოპულარიზაცია და სპორტის პროპაგანდისათვის ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შედეგები

მიღწეული სპორტული შედეგები; ოლიმპიური ლიცენზიების რაოდენობის ზრდა

შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორები

ქვეყანაში სპორტის პოპულარულ სახეობათა რაოდენობრივი ცვლილება; სხვადასხვა სახეობაში მოპოვებული პრიზების, მედლების, და სხვა საერთაშორისო აღიარებათა რაოდენობა/შეფარდება საბაზისო მაჩვენებელთან;

5.პროგრამის დასახელება და განხორციელების სავარაუდო ვადები ოლიმპიური მოძრაობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა 2016-2019წწ.

პროგრამის აღწერა

ოლიმპიური თამაშებისათვის მეტი ოლიმპიური ლიცენზიის მოსაპოვებლად საქართველოს ნაკრები გუნდების მზადება და ოლიმპიადებზე საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობის ხელშეწყობა;

მოსალოდნელი შედეგები

ოლიმპიური ჩემპიონების და პრიზიორების გაზრდილი რაოდენობა

შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორები

ოლიმპიური ჩემპიონების და პრიზიორების რაოდენობრივი შედარება გასული საანგარიშგებო/საბაზისო პერიოდის მაჩვენებელთან, ჯამურად და სახეობების მიხედვით.

6.პროგრამის დასახელება და განხორციელების სავარაუდო ვადები საქართველოს სპორტის პოლიტიკის და მასობრივი სპორტის განვითარების პროგრამა 2016-2019წწ.

პროგრამის აღწერა ქვეყნის მასშტაბით სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია, ბავშვთა და მოზარდთა მასობრივი სპორტის განვითარება, მასობრივი სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და დანერგვა, საჯარო სკოლების ჩაბმა სპორტული-გასართობ თამაშებში. “სპორტის ყველასათვის” პროექტების რეალიზაცია.

მოსალოდნელი შედეგები ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი მომავალი თაობა; სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩართული ახალგაზრდების გაზრდილი რაოდენობა;

შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორები

ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობის სპორტულ სახეობებში ჩართულობის მონიტორინგი.

7. პროგრამის დასახელება და განხორციელების სავარაუდო ვადები სპორტის ინფრასტრუქტურის, რეაბილიტაციისა და სპორტული ინვენტარის განახლების პროგრამა 2016-2019წწ.

პროგრამის აღწერა პროგრამის ძირითადი მიზანია საქართველოში სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია. მატერიალურ-ტექნიკური ბაზების მდგომარეობის გაუმჯობესება, სპორტული დანიშნულების ობიექტების, დარბაზებისა და სტადიონების შეკეთება, აღდგენა, მშენებლობა. რეგიონებში სპორტული ცხოვრების განვითარება, სპორტული ინვენტარის, ეკვიპირებისა და მოწყობილობების შექმნა.

მოსალოდნელი შედეგები განახლებული სპორტული ინვენტარი და რეაბილიტირებული სპორტული ინფრასტრუქტურა. საქართველოში სპორტის განვითარება, დიდი სპორტული ტრადიციების აღდგენა, საერთაშორისო სპორტულ ასპარეზზე მაღალი სპორტული მაჩვენებლების მიღწევა. ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და ფიზიკურად ჯანსაღი თაობების აღზრდა.

შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორები

სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება

8.პროგრამის დასახელება და განხორციელების სავარაუდო ვადები სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი 2016-2019წწ.

პროგრამის აღწერა გამომდინარე ცენტრის ძირითადი მიზნებია: ა) სპორტის სახეობების ეროვნულ ფედერაციებთან ერთად განსაკუთრებული სპორტული მონაცემებითა და ნიჭით დაჯილდოვებული ახალგაზრდების გამოვლენა და ცენტრში მოზიდვა საქართველოს კადეტთა და იუნიორთა ნაკრები

გუნდების წევრობის კანდიდატების მომზადების მიზნით; ბ) ქვეყნის ეროვნული, იუნიორთა და კადეტთა ნაკრები გუნდების წევრებისათვის (სპორტის პრიორიტეტულ სახეობებში) საერთაშორისო დონის მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა; გ) თანამედროვე სასპორტო სასწავლო-საწვრთნელი პროცესის დანერგვით, საკუთარი სპორტულ ღონისძიებათა კალენდრის შემუშავებითა და შესრულებით რეზერვების მომზადების ეფექტური სისტემის შექმნის უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი შედეგები იუნიორთა და კადეტთა ნაკრები გუნდის წევრების ლიცენზიების და საპრიზო ადგილების დაკავება.

შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორები

ცენტრის აღზრდილთა და ცენტრის ბაზაზე მომზადებულ სპორტსმენთა მიერ მიღწეული წარმატებები (მოპოვებული ლიცენზიების და წოდებების რაოდენობა);

9. პროგრამის დასახელება და განხორციელების სავარაუდო ვადები სსიპ “ქართული სპორტის მუზეუმი” 2016-2019წწ.

პროგრამის დასახელება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე ეროვნული მემკვიდრეობის პრინციპების დაცვა, ჯანსაღი სპორტული ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და დამკვიდრება;

პროგრამის აღწერა

ქართული სპორტის წარმატებების ამსახველი მასალების შეკრება, დაკომპლექტება, აღრიცხვა, შენახვა-დაცვა, შესწავლა და პოპულარიზაცია; ყველა აღრიცხული ერთეულის ორიგინალებისა და სხვა მნიშვნელოვან ექსპონატთა ბაზაზე ძირითადი ფონდის, როგორც ქვეყნის ერთიანი სამუზეუმო ფონდის, შემადგენელი ნაწილის შექმნა; სამუზეუმო ექსპონატების ყოველმხრივი დაცვა; სამუზეუმო ექსპონატების პუბლიკაცია; სააღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოება; სამუზეუმო ექსპოზიციების და მუზეუმის ფონდის ბაზაზე მასობრივი სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობის წარმოება; დადგენილი წესით, კომპეტენციის ფარგლებში, აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებთან თანამშრომლობა; პრევენტაციების, თემატური გამოფენების მოწყობა მნიშვნელოვან სპორტულ მოვლენებთან და/ან ისტორიული/საიუბილეო თარიღების დადგომასთან დაკავშირებით. ახალი ექსპონატების მოძიება და პირობების შექმნა ფასეულობების დაცვისთვის.

მოსალოდნელი შედეგები

სპორტული აქტივობის და პროფესიული სპორტის მიმართ მოსახლეობის ფართო ფენების, მათ შორის მოზარდი თაობის მკვეთრად გამოხატული ინტერესი და ჩართულობა; მუზეუმში ვიზიტორების ზრდა როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, ქვეყნების სპორტული წარსულის, მიღწევების ურთიერთგაცნობა, გაზიარება, კავშირების დამყარება და ურთიერთთანამშრომლობა.

შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორები

ვიზიტორების რაოდენობა და კატეგორიები

10. პროგრამის დასახელება და განხორციელების სავარაუდო ვადები პროგრამა

ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი “თბილისი 2017-2019”;

პროგრამის აღწერა

ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი -2017-2019“-ისთვის შესაბამისი სპორტული რეზერვის მომზადება;

მოსალოდნელი შედეგები

ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე 2017-2019“ მაღალი შედეგების უზრუნველსაყოფად სასელექციო სამუშაოებით შერჩეული მოზარდები

შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორები
ფესტივალზე მოზარდების მიერ ნაჩვენები მაღალი შედეგი.

11. პროგრამის დასახელება და განხორციელების სავარაუდო ვადები სსიპ საქართველოს სპორტისა და ფიზიკური აღზრდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი 2016-2019წწ.

პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

სპორტის დარგში უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადება
აღნიშნული სპეციალობების კადრების უკმარისობა

პროგრამის აღწერა

საბაკალავრო პროგრამა 4 წლიანი - შედგება 8 სემესტრისაგან და მოიცავს 240 კრედიტს.

სამაგისტრო პროგრამა 2 წლიანი - შედგება 4 სემესტრისაგან და მოიცავს 120 კრედიტს.

მოსალოდნელი შედეგები

მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების გამოშვება სპორტის დარგში.

შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორები

გაცემული დიპლომი

12. პროგრამის დასახელება და განხორციელების სავარაუდო ვადები

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საზოგადოებრივი სახელმწიფო კოლეჯი 2016-2019 წწ.

პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

სპორტში პროფესიული განათლების განვითარება და პოპულარიზება; ქვეყნის სპორტული პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობა; განვითარებაზე ორიენტირებული და საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრების მომზადება შრომის ბაზრის მოთხოვნის გათვალისწინებით.

პროგრამის აღწერა

სპორტსმენებისა და სპორტში მომუშავე სპორტული განათლების არმქონე ახალგაზრდობის მოზიდვა პროფესიული განათლების მისაღებად კოლეჯში; მივიწყებული სპორტული განათლების ტრადიციების აღორძინება; მათი ახალ სტანდარტებზე მორგება და დამკვიდრება; ეროვნული მემკვიდრეობის პრინციპების დაცვა; მოსახლეობის ფართო ფენებში ჯანსაღი სპორტული ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.

მოსალოდნელი შედეგები

სპორტის სფეროში არსებული პროფესიონალი კადრების (მწვრთნელების და მასწავლებლების) დეფიციტის აღმოფხვრა; სპორტული განათლებით დაინტერესებული ახალგაზრდებისათვის მიზნის ხელმისაწვდომობა.

შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორები

გაცემული დიპლომი/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

13. პროგრამის დასახელება და განხორციელების სავარაუდო ვადები პარაოლიმპიური მოძრაობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა 2016-2019წწ;

პროგრამის აღწერა

პარაოლიმპიური სპორტისათვის განვითარებისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, ადაპტირებული ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი რეაბილიტაცია. პარასპორტსმენტთა სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება; სპეციალური საჭიროების მქონე სპორტსმენების მხარდაჭერა;

მოსალოდნელი შედეგები

მაღალ დონეზე ჩატარებული ეროვნული პირველობა და პროცესში ჩართული მაღალკვალიფიციური სუბიექტები; მოწესრიგებული და ადაპტირებული ინფრასტრუქტურა; პარასპორტსმენტების მიერ საერთაშორისო ასპარეზზე გაუმჯობესებული პოზიციები;

შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორები

ეროვნულ ჩემპიონატებში მონაწილე პარასპორტსმენტების პროფესიონალური შეფასება; გულშემატკივართა რაოდენობის მატება, საკლუბო სისტემის ჩამოყალიბება, საქართველოში საერთაშორისო დონის ადაპტირებული ინფრასტრუქტურა, შედარება საბაზისო მაჩვენებლებთან; საერთაშორისო ასპარეზზე დაკავებული პოზიციების შედარება/შეფარდება გასულ/საბაზისო პერიოდში მოპოვებულ შედეგებთან;

14. პროგრამის დასახელება და განხორციელების სავარაუდო ვადები ფარიკაობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა 2016-2019წწ;

პროგრამის აღწერა

ფარიკაობის განვითარებისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი რეაბილიტაცია. ეროვნული, ასაკობრივი, ქალთა, ნაკრებებისათვის სათანადო პირობის შექმნა;

მოსალოდნელი შედეგები

მაღალ დონეზე ჩატარებული ეროვნული პირველობა და პროცესში ჩართული მაღალკვალიფიციური სუბიექტები; მოწესრიგებული ფარიკაობის ინფრასტრუქტურა; ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მიერ საერთაშორისო ტურნირებზე გაუმჯობესებული პოზიციები;

შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორები

ეროვნულ ჩემპიონატებში მონაწილე სპორტსმენტების პროფესიონალური შეფასება; გულშემატკივართა რაოდენობის მატება, საკლუბო სისტემის ჩამოყალიბება, საქართველოში საერთაშორისო დონის ინფრასტრუქტურა, შედარება საბაზისო მაჩვენებლებთან; საერთაშორისო ასპარეზზე დაკავებული პოზიციების შედარება/შეფარდება გასულ/საბაზისო პერიოდში მოპოვებულ შედეგებთან;

15. პროგრამის დასახელება და განხორციელების სავარაუდო ვადები ჭადრაკის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა 2016-2019წწ;

პროგრამის აღწერა

ქართული ქართული ჭადრაკის განვითარებისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, საჭადრაკო აკადემიის განვითარება. ეროვნული, ასაკობრივი, ვეტერან მოჭადრაკე და ქალთა ნაკრებებისათვის სათანადო პირობის შექმნა;

მოსალოდნელი შედეგები

მაღალ დონეზე ჩატარებული ეროვნული პირველობა და პროცესში ჩართული მაღალკვალიფიციური სუბიექტები; მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა; ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მიერ საერთაშორისო ტურნირებზე გაუმჯობესებული პოზიციები;

შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორები

ეროვნულ პირველობაში მონაწილე გუნდების პროფესიონალური შეფასება; მონაწილეთა რაოდენობის მატება; საერთაშორისო ასპარეზზე დაკავებული პოზიციების შედარება/შეფარდება გასულ/საბაზისო პერიოდში მოპოვებულ შედეგებთან;

16. პროგრამის დასახელება და განხორციელების სავარაუდო ვადები ხელბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა 2016-2019წწ;

პროგრამის აღწერა

ქართული ხელბურთის განვითარებისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, სახელბურთო ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი რეაბილიტაცია. ეროვნული, ასაკობრივი და ქალთა ნაკრებებისათვის სათანადო პირობის შექმნა;

მოსალოდნელი შედეგები

მაღალ დონეზე ჩატარებული ეროვნული პირველობა და პროცესში ჩართული მაღალკვალიფიციური სუბიექტები; მოწესრიგებული სახელბურთო ინფრასტრუქტურა; ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მიერ საერთაშორისო ტურნირებზე გაუმჯობესებული პოზიციები;

შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორები

ეროვნულ პირველობაში მონაწილე გუნდების პროფესიონალური შეფასება; გულშემატკივართა რაოდენობის მატება, საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო დონის და სტანდარტების შესაბამისი შეხვედრების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება, შედარება საბაზისო მაჩვენებლებთან; საერთაშორისო ასპარეზზე დაკავებული პოზიციების შედარება/შეფარდება გასულ/საბაზისო პერიოდში მოპოვებულ შედეგებთან;

17. პროგრამის დასახელება და განხორციელების სავარაუდო ვადები ძიუდოს სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა 2016-2019წწ;

პროგრამის აღწერა

ძიუდოს განვითარებისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი რეაბილიტაცია. ეროვნული, ასაკობრივი, ქალთა, ნაკრებებისათვის სათანადო პირობის შექმნა;

მოსალოდნელი შედეგები

მაღალ დონეზე ჩატარებული ეროვნული პირველობა და პროცესში ჩართული მაღალკვალიფიციური სუბიექტები; მოწესრიგებული ძიუდოს ინფრასტრუქტურა; ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მიერ საერთაშორისო ტურნირებზე გაუმჯობესებული პოზიციები;

შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორები

ეროვნულ ჩემპიონატებში მონაწილე სპორტსმენების პროფესიონალური შეფასება; გულშემატკივართა რაოდენობის მატება, საკლუბო სისტემის ჩამოყალიბება, საქართველოში საერთაშორისო დონის ინფრასტრუქტურა, შედარება საბაზისო მაჩვენებლებთან; საერთაშორისო ასპარეზზე დაკავებული პოზიციების შედარება/შეფარდება გასულ/საბაზისო პერიოდში მოპოვებულ შედეგებთან;

18. პროგრამის დასახელება და განხორციელების სავარაუდო ვადები ჭიდაობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა 2016-2019წწ;

პროგრამის აღწერა

ჭიდაობის განვითარებისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი რეაბილიტაცია. ეროვნული, ასაკობრივი, ქალთა, ნაკრებებისათვის სათანადო პირობის შექმნა;

მოსალოდნელი შედეგები

მაღალ დონეზე ჩატარებული ეროვნული პირველობა და პროცესში ჩართული მაღალკვალიფიციური სუბიექტები; მოწესრიგებული ჭიდაობის ინფრასტრუქტურა; ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მიერ საერთაშორისო ტურნირებზე გაუმჯობესებული პოზიციები;

შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორები

ეროვნულ ჩემპიონატებში მონაწილე სპორტსმენების პროფესიონალური შეფასება; გულშემატკივართა რაოდენობის მატება, საკლუბო სისტემის ჩამოყალიბება, საქართველოში საერთაშორისო დონის ინფრასტრუქტურა, შედარება საბაზისო მაჩვენებლებთან; საერთაშორისო ასპარეზზე დაკავებული პოზიციების შედარება/შეფარდება გასულ/საბაზისო პერიოდში მოპოვებულ შედეგებთან;

19. პროგრამის დასახელება და განხორციელების სავარაუდო ვადები ქართული ჭიდაობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა 2016-2019წწ;

პროგრამის აღწერა

ქართული ჭიდაობის განვითარებისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი შედეგები

მაღალ დონეზე ჩატარებული ეროვნული პირველობა და პროცესში ჩართული მაღალკვალიფიციური სუბიექტები; მოწესრიგებული ქართული ჭიდაობის ინფრასტრუქტურა; ქართული ჭიდაობის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის შენარჩუნების, პოპულარიზაციისა და წარმოჩენის მიზნით ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მიერ სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალებზე და შეჯიბრებებზე მონაწილეობა;

შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორები

ეროვნულ ჩემპიონატებში მონაწილე სპორტსმენების პროფესიონალური შეფასება; გულშემატკივართა რაოდენობის მატება, საკლუბო სისტემის ჩამოყალიბება; მსოფლიოში ქართული ჭიდაობის პოპულარიზაციის მაჩვენებელი;

20. პროგრამის დასახელება და განხორციელების სავარაუდო ვადები მძლეოსნობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა 2016-2019წწ;

პროგრამის აღწერა

მძლეოსნობის განვითარებისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი რეაბილიტაცია. ეროვნული, ასაკობრივი, ქალთა, ნაკრებებისათვის სათანადო პირობის შექმნა;

მოსალოდნელი შედეგები

მაღალ დონეზე ჩატარებული ეროვნული პირველობა და პროცესში ჩართული მაღალკვალიფიციური სუბიექტები; მოწესრიგებული მძლეოსნობის ინფრასტრუქტურა; ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მიერ საერთაშორისო ტურნირებზე გაუმჯობესებული პოზიციები;

შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორები

ეროვნულ ჩემპიონატებში მონაწილე სპორტსმენების პროფესიონალური შეფასება; გულშემატკივართა რაოდენობის მატება, საკლუბო სისტემის ჩამოყალიბება, საქართველოში საერთაშორისო დონის ინფრასტრუქტურა, შედარება საბაზისო მაჩვენებლებთან; საერთაშორისო ასპარეზზე დაკავებული პოზიციების შედარება/შეფარდება გასულ/საბაზისო პერიოდში მოპოვებულ შედეგებთან;

21. პროგრამის დასახელება და განხორციელების სავარაუდო ვადები ტანვარჯიშის სახეობათა სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა 2016-2019წწ;

პროგრამის აღწერა

ტანვარჯიშის განვითარებისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი რეაბილიტაცია. ეროვნული, ასაკობრივი, ქალთა, ნაკრებებისათვის სათანადო პირობის შექმნა;

მოსალოდნელი შედეგები

მაღალ დონეზე ჩატარებული ეროვნული პირველობა და პროცესში ჩართული მაღალკვალიფიციური სუბიექტები; მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა; ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მიერ საერთაშორისო ტურნირებზე გაუმჯობესებული პოზიციები;

შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორები

ეროვნულ ჩემპიონატებში მონაწილე სპორტსმენების პროფესიონალური შეფასება; გულშემატკივართა რაოდენობის მატება, საკლუბო სისტემის ჩამოყალიბება, საქართველოში საერთაშორისო დონის ინფრასტრუქტურა, შედარება საბაზისო მაჩვენებლებთან; საერთაშორისო ასპარეზზე დაკავებული პოზიციების შედარება/შეფარდება გასულ/საბაზისო პერიოდში მოპოვებულ შედეგებთან;

22. პროგრამის დასახელება და განხორციელების სავარაუდო ვადები სპორტის საწყლოსნო სახეობათა სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა 2016-2019წწ;

პროგრამის აღწერა

საწყლოსნო სახეობათა ფედერაციაში შემავალი სახეობების განვითარებისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი რეაბილიტაცია. ეროვნული, ასაკობრივი, ქალთა, ნაკრებებისათვის სათანადო პირობის შექმნა;

მოსალოდნელი შედეგები

მაღალ დონეზე ჩატარებული ეროვნული პირველობა და პროცესში ჩართული მაღალკვალიფიციური სუბიექტები; მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა; ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მიერ საერთაშორისო ტურნირებზე გაუმჯობესებული პოზიციები;

შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორები

ეროვნულ ჩემპიონატებში მონაწილე სპორტსმენების პროფესიონალური შეფასება; გულშემატკივართა რაოდენობის მატება, საკლუბო სისტემის ჩამოყალიბება, საქართველოში საერთაშორისო დონის ინფრასტრუქტურა, შედარება საბაზისო მაჩვენებლებთან; საერთაშორისო ასპარეზზე დაკავებული პოზიციების შედარება/შეფარდება გასულ/საბაზისო პერიოდში მოპოვებულ შედეგებთან;

III. პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები

1. პროგრამის დასახელება და განხორციელების სავარაუდო ვადები ოლიმპიური ჩემპიონების სტიპენდიები 2016-2019წწ.

პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე შესაბამისი სოციალური ფონის შექმნის აუცილებლობა ჩემპიონის წოდების შესანარჩუნებლად და ჩემპიონობის პოტენციურ პრეტენდენტთა მოტივაციის ასამაღლებლად.

პროგრამის აღწერა საქართველოში მცხოვრები ოლიმპიური ჩემპიონების სტიპენდირება.

მოსალოდნელი შედეგი უმაღლესი სპორტული შედეგების მიღწევით დაინტერესებული პრეტენდენტები

შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორები

პოტენციურ პრეტენდენტთა მიერ კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში მიღწეული შედეგების მონიტორინგი/ შეფარდება საბაზისო მაჩვენებელთან.

2.პროგრამის დასახელება და განხორციელების სავარაუდო ვადები ვეტერან სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა სოციალური დახმარება 2016-2019წწ.

პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე საქართველოში მცხოვრებ გამოჩენილ ვეტერან სპორტსმენებზე ზრუნვის საჭიროება, მომავალი თაობის სპორტული აქტივობის გამოწვევის, პროფესიულ სპორტში თაობების მაქსიმალური ჩართვისა და გამოვლენისათვის.

პროგრამის აღწერა ვეტერან სპორტსმენებსა და სპორტის მუშაკებზე ყოველთვიური სოციალური დახმარებების გაცემა;

მოსალოდნელი შედეგები უზრუნველყოფილი ვეტერანი სპორტსმენები და სპორტის მუშაკები

შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორები

ვეტერანებისა და სპორტის მუშაკების სოციალური მდგომარეობის მონიტორინგი.

3.პროგრამის დასახელება და განხორციელების სავარაუდო ვადები საქართველოს ეროვნული, ოლიმპიური და ასაკობრივი ნაკრების წევრთა, მწვრთნელთა, ადმინისტრაციული და საექიმო პერსონალის და პერსპექტიულ სპორტსმენთა სტიპენდიები.2016-2019წწ.

პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე საქართველოში მცხოვრებ გამოჩენილ და პერსპექტიულ სპორტსმენებზე ზრუნვა.

პროგრამის აღწერა საქართველოს ეროვნული, ოლიმპიური და ასაკობრივი ნაკრების წევრთათვის, მწვრთნელებისთვის, ადმინისტრაციული და საექიმო პერსონალისთვის და პერსპექტიულ სპორტსმენთათვის ყოველთვიური სტიპენდიის გაცემა;

მოსალოდნელი შედეგები მაღალი სპორტული შედეგების მიღწევით დაინტერესებული ეროვნული, ოლიმპიური და ასაკობრივი ნაკრებების წევრები;

შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორები

საქართველოს ეროვნული, ოლიმპიური და ასაკობრივი ნაკრების წევრების, მწვრთნელების, ადმინისტრაციული და საექიმო პერსონალის და პერსპექტიული სპორტსმენების მიერ მოპოვებული შედეგების მონიტორინგი/შეფარდება საბაზისო მაჩვენებელთან.

IV.პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა

ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები

1.პროგრამის დასახელება და განხორციელების სავარაუდო ვადები ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამა 2016-2019წწ.

პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

გრძელვადიანი დემოკრატიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით საქართველოს ახალგაზრდობა ქვეყნისათვის განსაკუთრებულ ფასეულობას წარმოადგენს. ახალგაზრდობა ასაკობრივი განვითარების ის მნიშვნელოვანი პერიოდია, რომლის დროსაც ხდება პიროვნების ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური ჩამოყალიბება და საზოგადოებაში ინტეგრირება. ამ დროის განმავლობაში ახალგაზრდები ცდილობენ, განავითარონ თავიანთი უნარები და შესაძლებლობები, რათა თავისუფლად წარმოაჩინონ საკუთარი როლი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში და მოახდინონ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზება.

აუცილებელია ახალგაზრდების, მათი როლისა და საჭიროებების შესახებ მკაფიო და ერთიანი ხედვა, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდება შესაბამისი მიდგომები და მექანიზმები საქართველოში ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისათვის.

პროგრამის აღწერა პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნას, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებას და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ჩართვას.

ამ მიზნის მისაღწევად პროგრამა უზრუნველყოფს:

1. საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალგაზრდების აქტიური ჩართვის შესაძლებლობას;
2. ახალგაზრდებისათვის შესაბამისი და მაღალხარისხიანი განათლების მიღების, დასაქმებისა და პროფესიული ზრდის შესაძლებლობას;
3. ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვასა და სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესებას ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილ გარემოში;
4. სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ახალგაზრდების ცოდნის ამაღლებას, ახალგაზრდებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას, მათი უფლებების დაცვას და სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდების მხარდაჭერას.
5. არაფორმალური განათლების, მოხალისეობის, ახალგაზრდული საქმიანობის აღიარება

მოსალოდნელი შედეგები ეროვნული ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის შესრულებისათვის საჭირო სამოქმედო გეგმა, ახალგაზრდული მუშაკის და საქმიანობის სტანდარტიზაცია, არაფორმალური განათლების აღიარება, არაფორმალური განათლების ერთიანი სახელმწიფო პროგრამის არსებობა. სამინისტროს პროგრამაში ბენეფიციარი ახალგაზრდების რაოდენობის გაზრდა.

შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორები

სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის კვლევის შედეგები, არაფორმალური განათლების, ახალგაზრდული საქმიანობისა და ახალგაზრდული მუშაკის დამტკიცებული სტანდარტები.

2. პროგრამის დასახელება და განხორციელების სავარაუდო ვადები სსიპ საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი 2016-2019წწ.

პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე ახალგაზრდებში აქტიური მოქალაქეობრივი, სახელმწიფოებრივი და თავისუფალი აზროვნების, ჯანსაღი ცხოვრების წესის, მოქალაქის უფლებებისა და ვალდებულებების, საზოგადოების წევრებზე ზრუნვის იდეის დამკვიდრება

პროგრამის აღწერა ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების მიერ წარმოდგენილი საგრანტო პროექტების დაფინანსება - არაფორმალური განათლების წახალისება, რეგიონული განვითარების მხარდაჭერა, სამოქალაქო ღირებულებების დანერგვა, ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო და სოციალური ინტეგრაცია.

მოსალოდნელი შედეგები - ახალგაზრდებში პრევენტაციების, დებატების წარმართვის, დასაქმებისთვის აუცილებელი, შემოქმედებითი საქმიანობისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება

შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორები

ახალგაზრდული ორგანიზაციების რაოდენობრივი და წარმოდგენილი პროექტების ხარისხობრივი მახასიათებლების ცვლილება

3. პროგრამის დასახელება და განხორციელების სავარაუდო ვადები სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი 2016-2019წწ.

პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე თავისუფალი დროის შინაარსიანად და ეფექტიანად ხარჯვის ორგანიზება, საქართველოს ახალგაზრდობის ინტელექტუალური, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა, ფორმირება და სრულყოფა;

პროგრამის აღწერა პროგრამის ფარგლებში ოპერირებადი ახალგაზრდული ცენტრის მეშვეობით ახალგაზრდებს საშუალება ეძლევა ქვეყნის მასშტაბით განახორციელონ სხვადასხვა სახის ახალგაზრდული პროექტები, ჩაერთონ კულტურულ. სპორტულ შემეცნებით ღონისძიებებში, მიიღონ არაფორმალური განათლება, გაწევრდნენ სხვადასხვა სახის ახალგაზრდულ კლუბებში და ა.შ.

მოსალოდნელი შედეგები გაიზრდება ახალგაზრდების ჩართულობა მასობრივ ღონისძიებებში; ახალგაზრდების მიერ თავისუფალი დროის შინაარსიანი და ეფექტური ხარჯვა; მოცემული სერვისის უსასყიდლოდ მიეწოდება 50000 მდე ახალგაზრდას საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან;

შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორები

რაოდენობრივი კრიტერიუმი; ხარისხობრივი კრიტერიუმი (ბენეფიციარების მიერ შევსებული უკუკითხვის ფორმების ანალიზის მეშვეობით)

4. პროგრამა „მომავლის ბანაკი“ 2016 - 2019“

პროგრამული კოდი - 390404

პროგრამის დასახელება და განხორციელების სავარაუდო ვადები

განხორციელების სავარაუდო ვადებია - 2016 – 2019 წწ.

პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

პროგრამის მიზანია სხვადასხვა სახის კულტურულ-საგანმანათლებლო და გასართობ-შემეცნებითი ღონისძიებების საშუალებით საქართველოში და მის გარეთ მცხოვრები ახალგაზრდების აქტიური დასვენებით უზრუნველყოფა, მათთვის არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა, ფიზიკური, სულიერი და ინტელექტუალური პოტენციალის ამაღლება, სოცილური ინტეგრაციის, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობა.

პროგრამის აღწერა

- საქართველოს ყველა საჯარო სკოლის თითო წარმატებული მოსწავლის შინაარსიანი და გონივრული დასვენების ორგანიზება
- ზოგადი ფიზიკური განვითარება
- კულტურული ღონისძიებები
- სპორტული შეჯიბრებები
- 21-29 წლის ახალგაზრდების ლიდერებად ჩამოყალიბება სპეციალური ტრენინგების გზით
- არაფორმალური განათლება
- შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებები
- ეთნიკური უმცირესობის ინტეგრაცია
- ქვეყნის გარეთ მცხოვრები ქართველი მოზარდების ინტეგრაცია

- საგანგებო სიტუაციებში ქვეყნის და სახანძრო უსაფრთხოების წესების შესწავლა და პროპაგანდა

2016 – 2019 წლის პროგრამა „მომავლის ბანაკი“-ის ფარგლებში ანაკლიის ბანაკში მონაწილეობის საშუალება მიეცემა 8000-ზე მეტ ახალგაზრდას. ბანაკი დაყოფილია 6 ნაკადად და თითოეულში მონაწილეობას იღებს 288 ახალგაზრდა. მაქსიმალური ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად, თითოეულ ნაკადში ახალგაზრდები წარმოდგენილნი იქნებიან საქართველოს ყველა რეგიონიდან. ამას გარდა, „მომავლის ბანაკი“ ითვალისწინებს „ნორჩი მაშველების“ პროგრამასაც, რომლის ფარგლებში ყოველ ნაკადზე მოეწყობა საგანგებო სიტუაციების მართვისა და უსაფრთხოების ნორმების უზრუნველყოფა, რომელიც განხორციელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტისა და ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის უშუალო ხელმძღვანელობითა და თანამშრომლობით. ამავე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გაცვლითი პროექტები სხვადასხვა ქვეყნის მსგავსი ტიპის ბანაკებში.

მოსალოდნელი შედეგები

პროექტების შედეგად 8000-დან 9000-მდე პირდაპირი ბენეფიციარი, რომლებიც დაეუფლებიან და ჩაერთვებიან:

- სპორტულ აქტივობებში;
- ჯანსაღი წესის დამკვიდრებისაკენ მიმართულ აქტივობებში;
- ახალგაზრდებისა და მოზარდების სამოქალაქო არაფორმალური განათლების პროგრამებში;

ხელი შეეწყობა:

- მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობასა და მათ ინტეგრირებას;
- კულტურულ-შემეცნებით პროგრამებში ჩართულობასა და ნიჭიერი ახალგაზრდების პოპულარიზაციას.

ასევე, პროექტი გულისხმობს წარმატებული მოსწავლეების მოტივაციის ამაღლებას შერჩევის კრტერიუმებიდან გამომდინარე.

შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორები

- ჩართულ მოზარდთა რაოდენობა;
- მონაწილეთა კმაყოფილება (შეფასების ანკეტა);
- მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობის ხარისხი.
 - პერიოდული ანგარიშების შესწავლა;
 - პერიოდულად სხვადასხვა აქტივობებზე ვიზიტები;
 - რომლებსაც თავად კომპონენტების მონაწილეები შეავსებენ და მასში ასახული იქნება ყველა ის ხარისხის შემფასებელი, რომელსაც არაფორმალური განათლების მეთოდები უნდა მოიცავდეს;

- მოწვეული კონსულტანტების და ექსპერტების შეფასებების შესწავლა.

5. პროგრამა „ახალგაზრდული ფესტივალი 2016 - 2019“

პროგრამული კოდი - 390405

პროგრამის დასახელება და განხორციელების სავარაუდო ვადები

განხორციელების სავარაუდო ვადებია - 2016 – 2019 წწ.

პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

სპორტულ და კულტურულ-შემეცნებით საქმიანობაში მოზარდებისა და ახალგაზრდების მასობრივი ჩართულობა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს პრიორიტეტია და როგორც სამინისტროს კვლევებიდან ირკვევა, საკუთარი ნიჭის, სპორტული უნარ-ჩვევების წარმოჩენის, სამოქალაქო განათლებისა და ინტეგრაციის ხელშეწყობის საშუალება ნაკლებად ეძლევათ. კულტურული, სპორტული თუ სამოქალაქო კულტურის სფეროში არაფორმალური განათლების მიღება უმრავლესობისთვის დიდი პრობლემაა. ამასთან, ფაქტია ისიც, რომ მოზარდებსა და ახალგაზრდებს უნდა მიეცეთ გეზი, როგორ გამოიყენონ ეფექტურად თავისუფალი დრო, რათა მაქსიმალურად დაკავდნენ ისეთი საქმიანობით, რაც მათ განვითარებას შეუწყობს ხელს.

პროგრამის აღწერა

პროგრამის მიზანია, მოზარდებსა და ახალგაზრდებს ყველანაირად შეეწყოს ხელი, რათა მიიღონ მათთვის საჭირო და აუცილებელი არაფორმალური განათლება, ზედმიწევნით იცოდნენ საკუთარი უფლებები, შეძლონ ნიჭის ფართოდ წარმოჩენა, შშმ მოზარდებთან ურთიერთობის დამყარება და მაქსიმალურად ჩაერთონ იმ კულტურულ-შემეცნებით-სპორტულ და სამოქალაქო განათლებისკენ მიმართულ აქტივობებში, ასევე სხვა მათთვის სასარგებლო ღონისძიებებში, რომელიც, უპირველესად, მათ განვითარებასა და სამომავლო წინსვლას შეუწყობს ხელს. პრობლემიდან გამომდინარე, აუცილებელია, მთელი ძალისხმევა მიმართული იყოს ნიჭიერი ახალგაზრდების წარმოჩენაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესის, სპორტული აქტივობების, კულტურულ-შემეცნებითი, სამოქალაქო განათლებისა და ინტეგრაციის პოპულარიზაციაზე. პროგრამის ფარგლებში გაიმართება კულტურულ-შემეცნებითი აქტივობები, საგანმანათლებლო ღონისძიებები, სხვადასხვა სახის კონკურსები, მათი ინიციატივების ხელშეწყობისთვის აუცილებელი პროექტები და სხვა.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი მიზნების მისაღწევად განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

მოსალოდნელი შედეგები

პროექტების შედეგად 10000-მდე პირდაპირი და 20000-ზე მეტი არაპირდაპირი ბენეფიციარის ჩართულობა:

- სპორტულ აქტივობებში;
- ჯანსაღი წესის დამკვიდრებისაკენ მიმართულ აქტივობებში;
- ახალგაზრდებისა და მოზარდების სამოქალაქო არაფორმალური განათლების პროგრამებში ჩართულობა;

შედეგების შესრულების შეფასების ინდიკატორები

- ჩართულ მოზარდთა რაოდენობა;
- მონაწილეთა კმაყოფილება (შეფასების ანკეტა);
- მოზარდთა მიერ განხორციელებული ინიციატივებისა და აქტივობების რაოდენობა;
- მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობის ხარისხი.